დანართი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის

„საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის“

დამთვალიერებლებისათვის (ვიზიტორებისათვის)

ქცევის და ზოგადი უსაფრთხოების წესი

მუხლი I

ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრულია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის“ (შემდგომში - ბაღი) დამთვალიერებლებისათვის (ვიზიტორებისათვის) ქცევის და ზოგადი უსაფრთხოების წესები.

2. ბაღის დამთვალიერებელი (ვიზიტორი) არის ბაღის ტერიტორიაზე მყოფი პირი, რომელიც ბაღის ტერიტორიაზე შემოვიდა სალარო პუნქტის გავლითა და სათანადო აღრიცხვით.

3. წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული წესები, აკრძალვები და შეზღუდვები ვრცელდება ბაღის მთელ ტერიტორიაზე.

4. ზოგადი ქცევისა და უსაფთხოების წესების დაცვა სავალდებულოა ბაღის ტერიტორიაზე მყოფი ნებისმიერი პირისათვის.

მუხლი II

ბაღის ტერიტორიაზე ქცევისა და ზოგადი უსაფრთხოების წესები

1. ბაღის ტერიტორიაზე გადადგილება ნებადართულია მხოლოდ ცენტრალურ სამანქანო გზებზე (ტურისტულ მარშრუტებზე), სპეციალური ნიშნით აღნიშულ ბილიკებზე და იმ უბნებზე, სადაც განთავსებულია საინფორმაციო დაფები და მანიშნებლები.

2. ბაღის დამთვალიერებელმა (ვიზიტორმა) ბაღში ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში თან უნდა იქონიოს ბაღის ტერიტორიაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (სალაროს მიერ გაცემული ბილეთი) და მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარუდგინოს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელს.

3. დამთვალიერებელმა (ვიზიტორმა) ბაღის ტურისტული მარშრუტები უნდა გაიაროს ყურადღებით, მკვეთრი მოძრაობების გარეშე. ვიზიტორთა ჯგუფმა უნდა იმოძრაოს ხმაურის გარეშე, რთულ რელიეფზე ჯგუფის წევრთა შორის დისტანციის დაცვითა და ნელი სვლით.

4. ბაღის რთული რელიეფური პირობების გამო, ქვათა ცვენის უბნებში აკრძალულია სპეციალური ნიშნით, დაფით, დროებითი აღნიშვნით ან უსაფრთხოების ლენტით შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე შესვლა, კლდესთან და კლდენაშალების ადგილებში ყოფნა და გაჩერება.

NATIONAL BOTANICAL GARDEN OF GEORGIA 404405960

5. ქვეწარმავლებისგან თავის დაცვის მიზნით სასურველია დამთვალიერებელი (ვიზიტორი) გადაადგილდეს მხოლოდ ტურისტულ მარშრუტებზე და ბილიკებზე. ისეთ ადგილებში პიკნიკის ორგანიზება, სადაც არ არის სპეციალური აღმნიშვნელი ნიშანი ან/და მასზე არ არის განთავსებული და მოწყობილი შესაბამისი ინფრასტრუქტურა, არ შეიძლება.

6. ქვეწარმავლის მიერ დაკბენის შემთხვევაში პირი დაუყოვნებლივ უნდა დაუკავშირდეს საგანგებო სიტუაციების სამსახურს ნომერზე 112, აგრეთვე, მის ხელთ არსებული ნებისმიერი შესაძლებლობით ფაქტის შესახებ აცნობოს მის სიახლოვეს მყოფ ნებისმიერ პირს.

7. ქვეწარმავლის (გველის) მიერ დაკბენის შემთხვევაში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფის მოსვლამდე პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის მიზნით საჭირო სამედიცინო ყუთი ინახება დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის ცალკეულ პუნქტებზე, რომელთა მდებარეობა აღნიშნული უნდა იყოს ტურისტულ რუკებზე.

8. დამთვალიერებელმა (ვიზიტორმა) განსაკუთრებული ყურადღებით უნდა იმოძრაოს ბაღის ტერიტორიის სამანქანო გზებზე, სადაც მოძრაობს სამეურნეო და სპეციალური დანიშულების სატრანსპორტო საშუალებები.

9. აკრძალულია ხე-მცენარეებზე, ბუჩქებსა და ხვიარა მცენარეებზე ასვლა, ჩამოჯდომა და მცენარეზე ყოველგვარი ფიზიკური ზემოქმედება.

10. დამთვალიერებელმა (ვიზიტორმა) უნდა გაითვალისწინოს, რომ მცენარეების სურნელი, მათი მტვერი და მათთან შეხება განსხვავებულად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობასა და მის იმუნურ სისტემაზე. ზოგიერთ მცენარეს გააჩნია ალერგიის გამომწვევი თვისებები, ასევე ბაღში არსებობს შხამიანი მცენარეები, რომლებსაც გააჩნიათ სათანადო აღნიშვნები.

11. ძლიერი ქარის, დიდთოვლობის ან/და ხე-მცენარეების ტოტების ჩამოტეხვის ნებისმიერი საშიშროების დროს დამთვალიერებელი (ვიზიტორი) ვალდებულია განერიდოს დიდტანოვან ხე-მცენარეებს და იმოძრაოს ტერიტორიის ღია სივრცეების მიმართულებით (დიდი ზომის ხე-მცენარეებისაგან თავისუფალი ტერიტორიებისაკენ).

12. ძლიერი წვიმის დროს აკრძალულია ბაღის კლდოვან და ციცაბო ფერდობებთან გაჩერება და გადაადგილება, ასევე, მდინარის კალაპოტთან და ჩანჩქერის ტერიტორიასთან მიახლოება.

13. ძლიერი წვიმის დროს, რომელსაც თან ახლავს ელვა და ჭექა-ქუხილი აკრძალულია ბაღის კლდოვან და ციცაბო ფერდობებთან, ელექტრო ენერგიის გადამცემ ანძებსა და ხაზებთან, დიდტანოვან ხე-მცენარეებთან გადაადგილება.

14. ბაღის ტერიტორიაზე სასმელ წყლად რეკომენდირებულია მხოლოდ იმ წერტილების გამოყენება, რომელიც აღნიშნულია ტურისტულ რუკაზე. ბაღის ცალკეულ ტერიტორიებზე არსებული სარწყავი ონკანებიდან, მდინარეებიდან, ბუნებრივი წყაროებიდან და ა.შ მიღებული წყლის სასმელ წყლად გამოყენება არ არის რეკომენდირებული და ადმინისტრაცია გამოწვეულ ზიანზე პასუხს არ აგებს.

15. დამთვალიერებელმა (ვიზიტორმა) ბაღის ტერიტორიაზე არ უნდა გამოიყენოს ადვილად აალებადი, ცეცხლსაშიში და ხანძრის გამომწვევი მასალები და ნივთიერებები. ბაღის ტერიტორიაზე აკრძალულია კოცონის დანთება ან/და იმგვარი ქმედების განხორციელება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ხანძარსაშიში ვითარება.

ეროვნული ბოტანიკური ბაღი
NATIONAL BOTANICAL GARDEN OF GEORGIA
404405960

16. ადმინისტრაციის სპეციალური ნებართვის გარეშე ბაღის ტერიტორიაზე აკრძალულია ქაღალდის ფეირვერკის (ე.წ „კანფეტილი“) და სხვა ისეთი მასალის გამოყენება, რომელიც იწვევს ბაღის ტერიტორიის დაბინძურებას და დაკვამლიანებას.

17. დამთვალიერებელს (ვიზიტორს) ეკრძალება ბაღის ტერიტორიაზე არსებული სამუშაო ინვენტარის, მოწყობილობების, მექანიზაციის, ტექნიკის და სხვა სატრანსპორტო საშუალებების ადმინისტრაციის ნებართვის გარეშე დაუფლება. აღნიშნულით გამოწვეულ ზიანზე პასუხისმგებლობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი III

აკრძალული ქცევები

1. ბაღის ტერიტორიაზე აკრძალულია:

ა) ტერიტორიის დაბინძურება;

ბ) ალკოჰოლური სასმელების შემოტანა, ალკოჰოლური თრობა;

გ) კოცონის დანთება;

დ) წყალში (მდინარე, ჩანჩქერი, ტბორი, დეკორატიული და წყალშემკრები აუზები) შესვლა;

ე) მცენარეების დაზიანება (მოჭრა, ამოღება, მცენარის ნაწილის მოწყვეტა, მცენარის ყავავილისა და ნაყოფის შეგროვება, მცენარეზე ასვლა, ნებისმიერი ზემოქმედება, ნაწერების გაკეთება;

ვ) თევზაობა და ნადირობა, ასევე სანადირო აღჭურვილობით შემოსვლა და გადაადგილება;

ზ) ხმამაღალი მუსიკა და ტურისტული მარშრუტებზე გადაადგილების შეფერხება ან/და გადაკეტვა;

თ) ველოსიპედის, გორგოლაჭების (ე.წ. „როლიკები“), თვითგორიალას, ე.წ „ჰოვერბორდის“ და სასრიალო ფიცრის (ე.წ “სკეტბორდი”) გამოყენება;

ი) ცხოველის შემოყვანა, გარდა მცირე ზომის კომპანიონი ძაღლებისა. ამასთან, კონკრეტულ შემთხვევებში, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური უფლებამოსილია შესაბამისი დასაბუთებით ბაღის ტერიტორიაზე არ დაუშვას მცირე ზომის კომპანიონი ძაღლებიც.

კ) სპორტული აქტივობები, რომელიც აფერხებს ტურისტულ მარშრუტზე გადაადგილებას ან/და იწვევს წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული უსაფრთხოების წესების დარღვევას;

ლ) სალარო პუნქტის დახურვიდან 1 საათის შემდგომ პერიოდში სეირნობა;

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ძაღლის ბარის ტერიტორიაზე დაშვების შემთხვევაში, ძაღლის მეპატრონე/თანმხლები პირი ვალდებულია ძაღლის ნარჩენების დასუფთავებაზე.

3. ბაღის ტერიტორიაზე, ადმინისტრაციის თანხმობის გარეშე, აკრძალულია:

ა) მცენარეების, ჰერბარიუმის, თესლისა და კალმის აღება;

ბ) ნათიბი ბალახის, მცენარეთა ნარჩენების, საშეშე, საჭიგოე მერქნის დამზადება ან/და ბაღის ტერიტორიიდან გატანა;

ბ) პროფესიული კინო, ვიდეო და ფოტოგადაღება;

ეროვნული ბოტანიკური ბაღი NATIONAL BOTANICAL GARDEN OF GEORGIA 404405960

გ) კულტურული, გასართობი, სპორტული და სხვა საზოგადოებრივი ღონისძიების და ჯგუფური აქტივობების გამართვა;

დ) სატრანსპორტო საშუალებებით დაშვება და გადაადგილება.

4. ამ მუხლით გათვალისწინებული აკრძალული ქმედებების გამოვლენაზე და აღკვეთაზე უფლებამოსილი და პასუხისმგებელია ადმინისტრაცია და დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური.

თავი IV

უსაფრთოხოების მონიტორინგი

1. დამთვალიერებელთა (ვიზიტორთა) უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული ქცევის ზოგადი წესები და მითითებები, ასევე შემთხვევის დადგომისას საკონტაქტო ინფორმაცია განთავსებულია ბაღის ყველა შემოსასვლელთან.

2. დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის მიერ ბაღის სრულ ტერიტორიაზე ხორციელდება მონიტორინგი, რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობს დამთვალიერებლების (ვიზიტორების) ბაღის ტერიტორიაზე ყოფნის უფლების შემოწმებას სალაროს მიერ გაცემული ბილეთის შემოწმების გზით.

3. ბაღის ტერიტორიაზე დაკარგულ ნივთებზე ბაღის ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს.

4. ბაღში მყოფი დამთვალიერებლების (ვიზიტორების) უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე მოქალაქე დაუყოვნებლივ უნდა დაუკავშირდეს ბაღის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს ნომერზე +995322 47 61 39 ასევე, ბაღის ადმინისტრაციას (სამუშაო საათებში 09:00 სთ-დან -18:00 სთ-მდე) ნომერზე +995 322 72 43 06.

5. თუ დამთვალიერებლის (ვიზიტორის) მიერ გამოვლინდა წინამდებარე დოკუმენტის განსაზღვრული წესების დარღვევა, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური უფლებამოსილია მას მოსთხოვოს ბაღის ტერიტორიის დატოვება. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია გამოძახებული იქნეს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები.